წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №__

2026 წლის _ _ იანვარი

ქ. წყალტუბო

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ.

აღინიშნა, რომ წარმოდგენილი ანგარიში შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და სათანადო დებულებით გათვალისწინებულ მოთხოვნებთან.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 ნოემბრის N36 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 25–ე მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის ანგარიში 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ (თან ერთვის).
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

მოამზადა:

აპარატის უფროსი — გელა თათარაშვილი

შეთანხმებულია:

კომისიის თავმჯდომარე — რევაზ დიდავა

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
CITY HALL OF TSKALTUBO MUNICIPALITY

წერილის ნომერი: **48-4826015101**
თარიღი: **15/01/2026**

ადრესატი: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებ
მისამართი: ქ. წყალტუბო, რუსთაველის ქ. N27

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარეს თეიმურაზ ჭეიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

წარმოგიდგენთ ზედამხედველობის სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის მე-III და მე-IV კვარტლში გაწეული სამუშაოების შესახებ ანგარიშს.

პატივისცემით,

გენადი ბალანჩივაძე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

საქართველო, 5400, წყალტუბო, რუსთაველის ქ. N25, ტელეფონი (+995)595 95 90 72;
ელ-ფოსტა: tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge, ვებ-გვერდი: www.tskaltubo.gov.ge
Georgia 5400 Tskaltubo, Rustaveli st.N25; Phone: (+995)595 95 90 72; E-mail:
tskaltubo.meria@tskaltubo.gov.ge; Website: www.tskaltubo.gov.ge

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ 2025 წლის III-IV კვარტალში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

2025 წლის III-IV კვარტლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ ხორციელდებოდა სამსახურეობრივი დებულებითა და კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულება.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ქვიტირში, ცენტრალური მაგისტრალის გასწვრივ, მეორადი ავტონაწილებით მოვაჭრეთა მიმართ პერმანენტულად ტარდებოდა უკანონო გარევაჭრობის, გარემოს დაბინძურების, იერსახის დამახინჯების წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებები. გაფრთხილების სახით 50-მდე მითითება იქნა გაცემული ამათგან 6 ობიექტი დაჯარიმდა. წყალტუბო-ქუთაისის გზაზე მიმდინარეობდა მონიტორინგი, რათა აღკვეთილიყო სამშენებლო მასალების დაყრა, გამოვლენილ იქნა რამოდენიმე ფაქტი, მათ წინააღმდეგ გატარებულ იქნა შესაბამისი ღონისძიებები.

2025 წლის III-IV კვარტალში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ მიმდინარეობდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში მშენებარე ობიექტების მონიტორინგი, რომლის შედეგად გამოვლინდა 11 სანებართვო პირობების დარღვევა 8 უნებართვო მშენებლობა, მათ მიმართ განხორციელდა კანონმდებლობით გათვალისწინებული ზომები და ჯარიმის სახით დაეკისრათ სახდელი, რომლის ოდენობამ შეადგინა 22200 ლარი.

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური აქტიურად იყო ჩართული ფიზიკური და იურიდიული პირებისაგან დასუფთავების მოსაკრებლის ამოღების ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდში სამშენებლო მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 75190 ლარი, ხოლო დასუფთავების მოსაკრებლიდან შემოსულმა თანხამ ჯამში შეადგინა 151344 ლარი, აქედან ფიზიკური პირებიდან შემოსულმა თანხამ შეადგენა 17927 ლარი, ხოლო იურიდიული პირებიდან შემოსულმა თანხამ შეადგინა 133417 ლარი. პარალელურად მიმდინარეობდა ახალი ობიექტების რეგისტრაცია და მათთან ხელშეკრულების დადება.

სამსახურმა მონიტორინგის ფარგლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გამოავლინა, როგორც სახელმწიფო და მუნიციპალური, ასევე კერძო მესაკუთრეების

საკუთრებაში არსებული უსახური შენობა-ნაგებობები. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მიმდინარეობს აქტიური მუშაობა, რათა მოხდეს არსებული შენობის ფასადის იერსახის მოწესრიგება ან ჩაუტარდეს დემონტაჟი, თუ შენობა ავარიულია და ის საფრთხეს წარმოადგენს მოქალაქეებისათვის.

საანგარიშო პერიოდში ზედამხედველობის, სივრცითი მოწყობისა და არქიტექტურის სამსახურის მიერ სხვადასხვა უწყებებიდან შემოსულ წერილებზე იქნა პასუხი გაცემული.

აქედან:

1. 51 ობიექტზე გაიცა მშენებლობის ნებართვა.
2. 42 მოქალაქეს დაუმტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები.
3. 54 ხაზობრივ-ნაგებობაზე გაიცა ნებართვა.
4. 3 ბანერის განთავსებაზე გაიცა ნებართვა
5. 35 ობიექტი იქნა ექსპლუატაციაში მიღებული.
6. 140 ობიექტის გაყოფაზე იქნა თანხმობა გაცემული
7. 33 ობიექტის გაერთიანებაზე იქნა თანხმობა გაცემული.
8. 2 ბინათამხანაგობა იქნა დარეგისტრირებული.
9. 26 ქონების მესაკუთრეს გაუგრძელდა მშენებლობის მოქმედების ვადა.
10. 40 მოქალაქეს გაეწია შუამდგომლობა სხვადასხვა უწყებებთან.
11. 4 შუამდგომლობა იქნა მიცემული, სასარგებლო წიაღისეულის მოპოვებაზე.
12. 5 შენობას გაუკეთდა დემონტაჟი.
13. 3 შენობას გაუკეთდა რეკონსტრუქცია.
14. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 26 წერილს გაეცა პასუხი 2023 წლის 1 დეკემბრამდე აშენებული შენობა- ნაგებობების ლეგალიზების შესახებ.

სამსახური აქტიურად თანამშრომლობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედ სხვადასხვა სამსახურებთან, რაც შესაძლებელს ხდის ოპერატიულად მოხდეს წარმოშობილი პრობლემების აღმოფხვრა.

პატივისცემით,

ზედამხედველობის, სივრცითი
მოწყობისა და არქიტექტურის სამსახური
სამსახურის უფროსი ბასონ გაბუნია